წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N 13

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 21 სექტემბერი

2022 წლის 21 სექტემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, მანანა ჭანია, ნანა კეკუა, ზაზა უბილავა, დავით ბელქანია, სოლომონ სარია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია,გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტისმერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12^{20} საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეა სარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **ივანე ბურდული**, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მოისმინეს: 1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. მან განმარტა, რომ ცვლილება ეხებოდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები გაუსაძლისი საცხოვრისი პირობების მქონე ოჯახების დახმარებისათვის სოციალური პროგრამის შემუშავებას, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყოფა 35 ათასი ლარი. აქედან, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისთვის საცხოვრისით უზრუნველყოფაზე, როცა, საცხოვრებელი ფართი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას გამოიყოფა 25 000 ლარის ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ საცხოვრისი ექვემდებარება რეაბილიტაციას, მერია უზრუნველყოფს ერთი ოთახის მოწყობას არაუმეტეს 10 000 ლარის ფარგლებში.

საკითხთან დაკაშირებით საკრებულოს წევრი დავით ბელქანია დაინტერესდა ეს პროექტი მხოლოდ 2 ბენეფიციარზე იყო გათვლილი და რა პრინციპით შეარჩევდნენ ბენეფიციარებს, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა , რომ აღნიშნული პროგრამა საპილოტეა და დარჩენილი 4 თვის მანძილზე 2 ბენეფიციარზეა გათვლილი.

დავით ბელქანიამ მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს მიმართა, ხომ არ ჯობდა გეწარმოებინათ სტატისტიკა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენი იყო ისეთი მოქალაქე რომელიც ექვემდებარებოდა პროგრამის პირობებს, თუ პროგრამა გათვლილია ერთ პიროვნებაზე და 35 ათას ლარად რამდენი ადამიანის დაკმაყოფილება იქნება შესაძლებელი?

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისია შეისწავლის და განიხილავს თითოეული განმცხადებლის პირობებს.ეს არის საპილოტე პროგრამა. პირველ ეტაპზე ყველას დაკმაყოფილებას ბუნებრივია ვერ შევძლებთ.მთავარია დავიწყოთ ეს პროცესი და შემდგომ წლებში უფრო მეტი თანხის მობილიზება მოხდება და პროგრამაც უფრო დაიხვეწება. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ და მცირედით მაინც შევუმსუბუქოთ საცხოვრებელი პირობები მოქალაქეებს.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მერის პირველ მოადგილეს ივანე ბურდულს კითხვით მიმართა როგორ და რა ფორმით მოხდება თანხის გაცემა და როგორ გადაანაწილებთ ამ თანხებს? ექნება თუ არა მერიას პროექტის სახით შედგენილი სახლის პროექტი და ხარჯთააღრიცხვა? ჯერ პროექტი და ხარჯთააღრიცხვა უნდა შეგექმნათ, მონიტორინგი უნდა გაგეკეთებინათ მიახლოებით რამდენი ასეთი მოქალაქეა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და შემდეგ შეგეტანათ ცვლილება ბიუჯეტში. ბიუჯეტში არ გქონდათ 100 000 ლარი ამ პროექტისთვის რომ ჩაგედოთ?

მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა რომ ბიუჯეტში ამდენი თანხა რომ გვქონოდა ამას ჩვენც დიდი სიამოვნებით მივესალმებით. თანხას რაც შეეხება ხელზე არ გაიცემა, პროექტს ამზადებენ მერიის შესაბამისი სამსახურები. წინასწარი ხარჯთააღრიცხვის მონახაზი გვაქვს და 25 000 ლარად ან სახლს ვუყიდით ან ავუშენებთ, ხოლო 10 000 ლარად „ერთი ოთახის“ პროექტის ფარგლებში საცხოვრისი პირობები გაუმჯობესდება. წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ რამდენი დაჯდება რემონტი, ეს სახლის პირობებზეა დამოკიდებული თუ როგორ მდგომარეობაშია. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას 25 000 ლარში ადამიანს შეექმნება ნორმალური პირობები საცხოვრებელი ან თავშესაფარი ქონდეს. ჩვენი შესაძლებლობები რასაც გაწვდება ყველაფერს გავაკეთებთ კანონის

ფარგლებში საპილოტე რეჟიმიდან გამომდინარე. პირველ ეტაპზე როგორც საპილოტე პროგრამა ჩვენ კონტეინერის შეძენას შევძლებთ იმ თანხით ნორმალური საცხოვრებელი პირობებით. თუ მომავალში შევძლებთ ბიუჯეტში უფრო მეტი თანხის გამონახვას უკეთესებსაც გავაკეთებთ, ამ ეტაპზე კონტეინერზეა საუბარი. თუ სახლის აშენება მოგვიწევს პროექტსაც შევიმუშავებთ, ხოლო კონტეინერს კი პროექტი არ სჭირდება.

საკრებულოს წევრმა დათო მესხიამ დავით ბელქანიას განუმარტა, რომ ბენეფიციარს ფულს არ ვაძლევთ ხელზე. მერია ვალდებულებას იღებს და უზრუნველყოფს პირობების გაუმჯობესებას. პროექტსაც გააკეთებენ და ხარჯთააღრიცხვასაც.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა . „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N31.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ვინაიდან, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე საკითხი ერთმანეთთან იყო კავშირში და შეეხებოდა 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებას და ამ ცვლილების მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასახვას , კამათი ამ საკითხებზე გაერთიანებულ იქნა.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა . „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N32.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს წევრმა მანანა ჭანიამ მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ივანე ბურდულს კითხვით მიმართა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში თუ რამდენი ბავშვია დარეგისტრირებული სექტემბრის მდგომარეობით და რამდენი ბავშვის კვებაზე გამოცხადდა ტენდერი?

მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა უპასუხა რომ 600 ბავშვზე გამოცხადდა ტენდერი. ბაღებში აქვთ სია და სულ 431 ბავშვია სექტემბრის მდგომარეობით .

საკრებულოს წევრმა ნანა ქობალიამ დასვა კითხვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მუჟავა (ერისწყალი),ფახულანი (წყოუში) და ჯგალი (სქური) ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ პირთა ტრანსპორტირების სერვისით უზრუნველყოფის პროგრამა თუ რა ეტაპზე იყო და გამოცხადდა თუ არა ტენდერი? რასაც მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ ერთი მიმართულებით გამოცხადებული გვაქვს ტენდერი , თუმცა ტენდერში მონაწილეობის მსურველი არავინ აღმოჩნდა. საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს დღესაც მუშაობა და მოგვარდება უახლოეს მომავალში.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**